

## კურიკულუმი

<b>ფაკულტეტის დასახელება</b>	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა</b>
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია</b>	
<b>პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)</b>	2 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</b>	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებადია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები</b>	რუსუდან გერსამია, ფატი რამიშვილი, ნინო დობორჯგინიძე, ნათელა იმედაძე
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს მოქალაქის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტების წარმატებით ჩაბარება;</li> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირის ჩარიცხვა პროგრამაზე.</li> </ul>	
<b>პროგრამის მიზნები</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ პროგრამის მიზანია არაქართულენოვან სტუდენტებს განუვითაროს ქართული ენის კომპეტენცია საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მინიმუმ B2 დონეზე ისე, რომ მათ შეძლონ ქართულენოვანი საბაკალავრო საფეხურის სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება.</li> <li>✓ პროგრამა შექმნილია არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულენოვან გარემოში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით; პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ქართულენოვანი გარემოს წეს-ჩვეულებებსა და თავისებურებებს, საქართველოს კულტურას, ისტორიულ მოვლენებს; პროგრამა მათ დაეხმარება ადეკვატურად ორიენტირდნენ ქართულენოვან სოციო-კულტურულ გარემოში, ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ინტეგრირდნენ აკადემიურ საგანმანათლებლო სივრცეში.</li> </ul>	
<b>სწავლის შედეგები და კომპეტენციები</b>	
<p><b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b> კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ფლობს ქართულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონეზე;</li> <li>- იცნობს ქართულენოვანი გარემოს სოციო-კულტურული სიტუაციებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმებს;</li> <li>- იცნობს საქართველოსთან სხვა ქვეყნების კულტურულ ურთიერთობებს;</li> <li>- იცნობს სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ბაზისურ ლექსიკასა და ტერმინებს;</li> <li>- იცნობს ქართული კულტურისა და ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვან საკითხებს;</li> <li>- იცნობს ტექსტის სხვადასხვა ტიპს ქართული ენისათვის;</li> <li>- იცნობს აკადემიური ტექსტის თავისებურებებს;</li> <li>- იცნობს აკადემიური ტექსტის კითხვის სტრატეგიებს;</li> <li>- იცნობს ქართული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ და გრამატიკულ (მორფოლოგიურ, სინტაქსურ) სისტემას, ლექსიკურ-დერივაციულ მოდელებს და მათ თავისებურებებს;</li> <li>- ფლობს ტექსტური, გრაფიკული და ცხრილური ინფორმაციის დამუშავების ტექნიკას.</li> </ul> <p><b>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b> ენობრივი კომპეტენცია მოსმენა: კურსდამთავრებული</p>	

- იგებს სალიტერატურო ნორმების ფარგლებში ისეთ სასაუბრო მეტყველებას ნაცნობ ან უცნობ თემებზე, რომლებსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას;
- იგებს ვრცელ მოხსენებას ან ლექციას, რომელიც შეიცავს რთულ არგუმენტებს, თუკი თემატიკა სტუდენტისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია;
- იგებს იმ სტატიებსა და მოხსენებებს, რომლებიც თანამედროვე პრობლემებს ეხება და რომელშიც ავტორისეული პოზიცია ნათლად არის წარმოჩენილი;
- იგებს ფილმების პერსონაჟთა მეტყველებას სალიტერატურო ენაზე;
- იგებს რაიმე საგნის ან მოვლენის შესახებ ვინმეს მიერ მოყოლილ დეტალურ აღწერა-დახასიათებას;
- ამოიცნობს თანამოსაუბრის განწყობას, ემოციას და ტონს.

**კითხვა:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დიდი მოცულობის ტექსტებიდან არსებითის გამოყოფა და დეტალების გაგება;
- ტერმინოლოგიური და ფრაზოლოგიური ლექსიკონის დახმარებით გაიგოს დარგობრივი სტატიები, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს;
- გაიგოს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან მოძიებული მასალა;
- ვრცელი ინსტრუქციებიდან გამოყოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, გაიგოს დირექტიული ხასიათის ტექსტები და შეძლოს მათი გამოყენება;
- გაიგოს დარგობრივი ტექსტები.

**ლაპარაკი:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ნათლად და დასაბუთებულად გამოხატოს საკუთარი თვალსაზრისი მისთვის საინტერესო საკითხებზე;
- ჩამოყალიბოს საკუთარი შეხედულება აქტუალურ თემასთან დაკავშირებით, წარმოაჩინოს დადებითი და უარყოფითი არგუმენტები საკითხის გარშემო;
- მონაწილეობა მიიღოს ისეთ დისკუსიებში, რომლებიც მისთვის ნაცნობ თემებს ეხება;
- დაასაბუთოს და დაიცვას საკუთარი შეხედულებები;
- ილაპარაკოს გარკვევით, ბუნებრივად და დაუბრკოლებლად და, ხმაურის მიუხედავად, აქტიურად ჩაერთოს საკომუნიკაციო პროცესში;
- იმეტყველოს გამართული სინტაქსური კონსტრუქციებითა და ააგოს წინადადებები მინიმალური ხარვეზებით, რომელთა გამოსწორება თავად შეუძლია.
- თანმიმდევრულად და დეტალურად გადმოსცეს რაიმე ამბავი ან პირადი განცდები, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, წინ წამოსწიოს მთავარი დეტალები.
- ჩაერთოს რთულ დიალოგში, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და რეკომენდაცია სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირებით;
- ისაუბროს შთაბეჭდილებებზე, იდეებზე, გრძნობებზე, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენებით.

**წერა:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სხვადასხვა ტიპის მკაფიო, დეტალური ტექსტის დაწერა, რომელიც შეეხება მისთვის საინტერესო საკითხებს;
- ლოგიკურად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე;
- სხვადასხვა პოზიციის ასახვა და ერთმანეთთან შედარება, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა;
- ინფორმაციის წერილობით გაშუქება დადებითი და უარყოფითი თვალსაზრისის გათვალისწინებით;
- სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზით ტექსტის დაწერა;
- მისთვის საინტერესო თემაზე/საკითხზე მოხსენების / ესეის დაწერა, რომელშიც წარმოჩენილია არგუმენტები, ხაზგასმულია ძირითადი მომენტები და ისეთი დეტალები, რომლებიც ასაბუთებს მოხსენებაში/ესეიში წარმოდგენილ თვალსაზრისს, დაცულია ტექსტის შესაბამისი სტილი და სტრუქტურა.

**3. დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საჭირო ინფორმაციის მოძიება, მისი დამუშავება და ანალიზი;
- დასაბუთებული და თანმიმდევრული დასკვნების ჩამოყალიბება;

**4. კომუნიკაციის უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ავთენტურ კომუნიკაციურ სიტუაციებში სამეტყველო ინტენციის ზეპირად და წერილობით გამართულად ჩამოყალიბება;
- ინფორმაციის მიღება, სწორად აღქმა, ინტერპრეტირება და გაცემა;
- სხვადასხვა სოციო-კულტურულ სიტუაციაში ადეკვატური რეაგირება და კულტურული თავისებურებებით განპირობებული გაუგებრობებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან არიდება;
- სიტუაციის შესაბამისი ენობრივ-კულტურული ქმედება.

#### 5. სწავლის უნარი

- კურსდამთავრებული ფლობს ავტონომიური სწავლის უნარებს;
- კურსდამთავრებული ფლობს სწავლის დაგეგმვის ხერხებსა და მეთოდებს, შეუძლია სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და ცოდნის გაღრმავებაზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სამუშაოს დაგეგმვა, სასწავლო პროცესზე დაკვირვება და შედეგების შეფასება.

#### 6. ღირებულებები

კურსდამთავრებულს:

- შეუძლია უცხო კულტურული რეალობის არსებულ კულტურულ გამოცდილებასთან დაკავშირება და შეჯერება;
- აქვს პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და ტოლერანტულია განსხვავებული კულტურისა და ღირებულებების მიმართ.

#### სწავლების მეთოდები

- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია;
- დიდაქტიკური მეთოდი (ლექცია, სემინარი და სხვა);
- ვერბალური და წერიტი მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
- სიტუაციის ანალიზი და როლური თამაშები;
- თანამშრომლობითი სწავლების ფორმები: ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები;
- ლაბორატორიული მეთოდი;
- გამოცდილებით (experiential) სწავლება;
- CLIL -ის მეთოდი. საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება;
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
- სიმულაციური მეთოდი;
- ინტერაქციის მეთოდი;
- კომუნიკაციური მეთოდი;
- ინტერკულტურული მეთოდი;
- მიზანზე ორიენტირებული სწავლება;
- დავალებაზე ორიენტირებული სწავლება;
- დრამაპედაგოგიური მეთოდი;

*შენიშვნა:* პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

#### პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს იმ შემთხვევაში, თუკი მან დააკმაყოფილა პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები და დააგროვა 60 კრედიტი. პროგრამა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს და ენობრივი დონის გათვალისწინებით სამ სხვადასხვა პაკეტს მოიცავს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, სასწავლო წლის დაწყებამდე გაივლიან პრეტესტს ქართულ ენაში და დადგენილი ენობრივი დონის<sup>1</sup> მიხედვით გაივლიან მათთვის შესაბამის პაკეტს.

<sup>1</sup> ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო

**პაკეტი I : A1- B2 დონე**

- ✓ ქართული ენა A1\_A2 და ქართული ენა B1\_B2 (ქართული, როგორც მეორე ენა) – 24 კრედიტი (12 + 12)
- ✓ ინტეგრაციის კურსი 1 და ინტეგრაციის კურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა) – 6 კრედიტი (3 + 3)
- ✓ მედიაკურსი 1 და მედიაკურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)- 12 კრედიტი (6 + 6)
- ✓ დარგობრივი ენის კურსი (ქართული, როგორც მეორე ენა)- 3 კრედიტი
- ✓ ინფორმაციული წიგნიერება არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის- 6 კრედიტი
- ✓ ქართული ენის გრამატიკა კომუნიკაციისათვის (ქართული, როგორც მეორე ენა) - 3 კრედიტი
- ✓ 1 სავალდებულო-არჩევითი (B1/B2 დონის შესაბამისი კურსი) - 6 კრედიტი

**პაკეტი II : A2- B2 დონე**

- ✓ ქართული ენა A2\_B1 და ქართული ენა B2 (ქართული, როგორც მეორე ენა) – 18 კრედიტი (12 + 6)
- ✓ ინტეგრაციის კურსი 1 და ინტეგრაციის კურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა) – 6 კრედიტი (3 + 3)
- ✓ მედიაკურსი 1 და მედიაკურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა) - 12 კრედიტი (6 + 6)
- ✓ დარგობრივი ენის კურსი (ქართული, როგორც მეორე ენა) - 3 კრედიტი
- ✓ ინფორმაციული წიგნიერება არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის- 6 კრედიტი
- ✓ ქართული ენის გრამატიკა კომუნიკაციისათვის (ქართული, როგორც მეორე ენა)- 3 კრედიტი
- ✓ 2 სავალდებულო- არჩევითი (B2 დონის შესაბამისი კურსები) - 12 კრედიტი

**პაკეტი III : B1 –B2 დონე**

- ✓ ქართული ენა B1 და ქართული ენა B2 (ქართული, როგორც მეორე ენა) – 12 კრედიტი (6 + 6)
- ✓ ინტეგრაციის კურსი 1 და ინტეგრაციის კურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა) – 6 კრედიტი (3 + 3)
- ✓ მედიაკურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)- 6 კრედიტი
- ✓ დარგობრივი ენის კურსი (ქართული, როგორც მეორე ენა)- 3 კრედიტი
- ✓ ინფორმაციული წიგნიერება არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 6 კრედიტი
- ✓ ქართული ენის გრამატიკა კომუნიკაციისათვის (ქართული, როგორც მეორე ენა) - 3 კრედიტი
- ✓ 2 სავალდებულო-არჩევითი (B1/B2 დონის შესაბამისი კურსები) - 12 კრედიტი
- ✓ 2 სავალდებულო-არჩევითი (B2 დონის შესაბამისი კურსები) - 12 კრედიტი

**სავალდებულო-არჩევითი კურსი სამივე პაკეტისათვის:**

ყველა სავალდებულო-არჩევითი კურსი აგებულია საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა შესასწავლ ენაზე მიიღოს ცოდნა და ინფორმაცია ამა თუ იმ საგნის შესახებ. ამგვარი მიდგომით ენა ხდება ერთგვარი მედიატორი, რომელიც სტუდენტს მისთვის მნიშვნელოვანი შინაარსის გასაგებად და გადმოსაცემად სჭირდება. სავალდებულო-არჩევითი კურსების მთავარი მიზანი ენის შესწავლასთან ერთად საქართველოს კულტურის, ისტორიისა და საზოგადოების უკეთ გაცნობა და დაფასებაა. სავალდებულო-არჩევით კურსებში გამოიყოფა B1/B2 დონისა და B2 დონის შესაბამისი კურსები.

- პირველი პაკეტის სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ B1/B2 დონის სავალდებულო-არჩევითი კურსი;
- მე-2 პაკეტის სტუდენტებს ზემოთ აღნიშნული დონეების კურსების არჩევის დროს შეზღუდვა არ აქვთ;
- მე-3 პაკეტის პირველი სემესტრის სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მხოლოდ B1/B2 დონის სავალდებულო-არჩევითი კურსი, ხოლო მეორე სემესტრის სტუდენტებს შეზღუდვა არ აქვთ.

სავალდებულო-არჩევითი კურსები (B1/B2)	სავალდებულო-არჩევითი კურსები (B2)
<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ენა და კულტურათმორისი დიალოგი(ქართული, როგორც მეორე ენა) - 6 კრედიტი</li> <li>✓ ლიტერატურა ქართულის როგორც მეორე ენის გაკვეთილზე (ქართული, როგორც მეორე ენა) - 6 კრედიტი</li> <li>✓ თანამედროვე ქართული ფილმი ქართულის როგორც მეორე ენის გაკვეთილზე (ქართული, როგორც მეორე ენა) - 6 კრედიტი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ენა და კულტურათმორისი დიალოგი(ქართული, როგორც მეორე ენა) - 6 კრედიტი</li> <li>✓ ლიტერატურა ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე - 6 კრედიტი</li> <li>✓ თანამედროვე ქართული ფილმი ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე - 6 კრედიტი</li> <li>✓ მრავალენოვანი საქართველო(ქართული, როგორც მეორე ენა) - 6 კრედიტი</li> </ul>

	✓ ტოლერანტობა თანამედროვე საზოგადოებაში(ქართული, როგორც მეორე ენა) - 6 კრედიტი

**შეფასების წესი**

**შეფასების წესი (100 ქულიანი):**  
 შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:  
 (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;  
 (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;  
 (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;  
 (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;  
 (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.  
 ორი სახის უარყოფით შეფასებას:  
 (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;  
 (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**დასაქმების სფეროები/ შემდგომი განათლების პერსპექტივები**

საბაკალავრო საფეხურზე სასურველ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება

**სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები**

**უნივერსიტეტი უზრუნველყოფს** გამოყენებული სასწავლო ფორმატისა და მეთოდების შესაბამის ინფრასტრუქტურას:

- ბიბლიოთეკა (სილაბუსებში მითითებული ყველა წიგნის ეგზემპლარით და/ან კურსის რიდერებით)
- ტექნიკურად აღჭურვილი საკლასო აუდიტორია (პროექტორი, კომპიუტერი, მერხები, სკამები, დაფა, მარკერები, მულტიმედია ლაბორატორია);
- პროგრამაში მონაწილე პარტნიორები: საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) და ფონდი AIPE;
- ტუტორები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის საფეხურების სტუდენტები ან თბილისის ახალგაზრდული ცენტრის წევრები;
- უნივერსიტეტში არსებული სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის შიდა საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“; Moodle, Turnitin.

კურსების ჩამონათვალი

№	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები	საკონტ. საათები	სემესტრ ები		პაკეტი
							შემოდგომა	გაზაფხული	
1	ქართული ენა A1_A2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	თამთა ჩაჩუა, შორენა მიქაბერიძე, ანა ჭკუასელი, თეონა დამენია, თინა ყაზარაშვილი, რიტა შუბითიძე, თათია ლაბაძე, მაკა ნოზაძე, ნანა სოლომნიშვილი, თეა ქიტომშვილი		12	208	X		I
2	ქართული ენა A2_B1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	რუსუდან გერსამია ფატი რამიშვილი ივლიტა ლობჯანიძე მაკა ნოზაძე ნატო ბილანიშვილი ნანა სოლომნიშვილი თეონა დამენია ანა ჭკუასელი თეა ქიტომშვილი თამარ გეთიაშვილი თამთა ჩაჩუა მაია დამენია ნინო დონაძე თინა ყაზარაშვილი მადონა გიორგაძე თეა თალაკვაძე		12	208	X		II
3	ქართული ენა B1_B2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	თამარ სუხიშვილი; თეა თალაკვაძე, ნინო დონაძე, ნანა სოლომნიშვილი, თეა ქიტომშვილი, ნატო ბილანიშვილი, რიტა შუბითიძე, თამარ გეთიაშვილი, თათია ლაბაძე, ნათია სადლობელაშვილი, ანა ჭკუასელი, ნინო დონაძე, შორენა მიქაბერიძე, თამუნა სხულუხია, ხათუნა ომანაშვილი თეონა დამენია	ქართული ენა A1_ A2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	12	208		X	I
4	ქართული ენა B1(ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	რუსუდან გერსამია ფატი რამიშვილი ივლიტა ლობჯანიძე მაკა ნოზაძე ნატო ბილანიშვილი ნანა სოლომნიშვილი		6	106	X		III

			თეონა დამენია ანა ჭკუასელი თეა ქიტომვილი თამარ გეთიაშვილი თამთა ჩაჩუა მაია დამენია ნინო დონაძე თინა ყაზარაშვილი მადონა გიორგაძე თეა თალაკვაძე						
5	ქართული ენა B2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	რუსუდან გერსამია ფატი რამიშვილი ივლიტა ლობჯანიძე მაკა ნოზაძე ნატო ბილანიშვილი ნანა სოლომნიშვილი თეონა დამენია ანა ჭკუასელი თეა ქიტომვილი თამარ გეთიაშვილი თამთა ჩაჩუა მაია დამენია ნინო დონაძე თინა ყაზარაშვილი მადონა გიორგაძე თეა თალაკვაძე შორენა მიქაბერიძე	ქართული ენა - A2_B1/B1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	6	106	X		II III
6	მედიკურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	ივლიტა ლობჯანიძე ნათია უღრელიძე თეონა დამენია თამთა ჩაჩუა ნინო დონაძე ნანა სოლომნიშვილი ნატო ბილანიშვილი		6	70	X		I II III
7	მედიკურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	ივლიტა ლობჯანიძე ნათია უღრელიძე თეონა დამენია თამთა ჩაჩუა ნინო დონაძე ნანა სოლომნიშვილი ნატო ბილანიშვილი ნინო წულაია	მედიკურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა) <i>(შენიშვნა: წინაპირობა I და II პაკეტისთვის)</i>	6	70		X	I II III
8	ინტეგრაციის კურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	ივლიტა ლობჯანიძე თინა ყაზარაშვილი ნატო ბილანიშვილი მარიამ მარდალეიშვილი		3	36	X		I II III
9	ინტეგრაციის კურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	ივლიტა ლობჯანიძე თინა ყაზარაშვილი ნანა სოლომნიშვილი ნათია უღრელიძე თამთა ჩაჩუა თათია ლაბაძე	ინტეგრაციის კურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	3	36		X	I II III

10	დარგობრივი ენის კურსი (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	მაკა ნოზაძე მაია დამენია თეა თალაკვაძე თინათინ საბაური მადონა გიორგაძე მარიამ მარდალეიშვილი	ქართული ენა A1_A2 (ქართული, როგორც მეორე ენა) (შენიშვნა: წინაპირობა I პაკეტისთვის); ქართული ენა - A2_B1/B1 (ქართული, როგორც მეორე ენა) (შენიშვნა: წინაპირობა II და III პაკეტისთვის);	3	53		X	I II III
11	ქართული ენის გრამატიკა კომუნიკაციისათვის (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	რუსუდან გერსამია ანა ჭკუასელი ნინო დონაძე თამარ გეთიაშვილი თეონა დამენია		3	70	X		I II III
12	ინფორმაციული წიგნიერება არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	სავ.	ელზა ნოზაძე, თეა ლილუაშვილი, ნინო ცანდიშვილი, მარეხი ჯელაძე, შორენა მიქაბერიძე, რუსუდანი მარკოზაშვილი, მაია ბაზუაძე		6	70	X		I II III
13	ენა და კულტურათაშორისი დიალოგი (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.-არჩ.	მაია დამენია თამთა ჩაჩუა თინათინ საბაური	ქართული ენა A1_A2 (ქართული, როგორც მეორე ენა) (შენიშვნა: წინაპირობა I პაკეტისთვის)	6	70	X <sup>2</sup>	X	I II III
14	ლიტერატურა ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე	სავ.-არჩ.	ფატი რამიშვილი ივლიტა ლობჯანიძე თეა ქიტოშვილი	ქართული ენა A1_A2 (ქართული, როგორც მეორე ენა) (შენიშვნა: წინაპირობა I პაკეტისთვის)	6	70	X <sup>3</sup>	X	I II III
15	თანამედროვე ქართული ფილმი ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე	სავ.-არჩ.	ფატი რამიშვილი ივლიტა ლობჯანიძე თინა ყაზარაშვილი ნინო სოლომნიშვილი მაკა ნოზაძე მაია დამენია თამთა ჩაჩუა	ქართული ენა A1_A2 (ქართული, როგორც მეორე ენა) (შენიშვნა: წინაპირობა I პაკეტისთვის)	6	70	X <sup>4</sup>	X	I II III

<sup>2</sup> ენობრივი დონის და სასწავლო პაკეტის მიხედვით სტუდენტმა აღნიშნული საგანი ორივე სემესტრში შეიძლება აირჩიოს. აღნიშნული კურსი განსაზღვრულია როგორც B1/B2 ასევე B2 დონისათვის.

<sup>3</sup> ენობრივი დონის და სასწავლო პაკეტის მიხედვით სტუდენტმა აღნიშნული საგანი ორივე სემესტრში შეიძლება აირჩიოს. აღნიშნული კურსი განსაზღვრულია როგორც B1/B2 ასევე B2 დონისათვის.

<sup>4</sup> ენობრივი დონის და სასწავლო პაკეტის მიხედვით სტუდენტმა აღნიშნული საგანი ორივე სემესტრში შეიძლება აირჩიოს. აღნიშნული კურსი განსაზღვრულია როგორც B1/B2 ასევე B2 დონისათვის.



16	მრავალენოვანი საქართველო (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.-არჩ.	მაია დამენია, მარიამი მარდალეიშვილი, თამთა ჩაჩუა, ნათია სადღობელაშვილი	ქართული ენა A2_B1/ B1 (ქართული, როგორც მეორე ენა)(შენიშვნა: წინაპირობა II და III პაკეტისთვის);	6	70		X	II III
17	ტოლერანტობა თანამედროვე საზოგადოებაში(ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.-არჩ.	თამთა ჩაჩუა, ნატო ბილანიშვილი, ნანა სოლომონიშვილი	ქართული ენა - A2_B1/ B1 (ქართული, როგორც მეორე ენა)(შენიშვნა: წინაპირობა II და III პაკეტისთვის);	6	70		X	II III